ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის

ანგარიში

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო, საკრებულოს წევრებო, კოლეგებო!

წინამდებარე ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ. წარმოდგენილ ანგარიშში არ არის ასახული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია, რადგან დღევანდელ სხდომაზე ცალკე საკითხად იქნება განხილული.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას ცალკეული სფეროების მიხედვით.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტმა შეადგინა 31 000 813 ლარი. რაც 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობასთან შედარებით 10 575 513 ლარით არის გაზრდილი.

ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა 30 034 100 ლარი. გეგმა შესრულებულია 97.4 %-ით.

მათ შორის:

გადასახადებიდან (დღგ, ქონების გადასახადი) მიღებული შემოსავლები 11 010 300 ლარი.

სხვა შემოსავლებიდან მიღებული 1 569 500 ლარი.

ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტები მიღებულია 17 075 700 ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან (მუნიციაპლური ქონების პრივატიზაციიდან) მიღებული შემოსავალი 378 500 ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულებამ შეადგინა 96 %.

გადასახდელები ჯამში 31 000 813 ლარი პრიორიტეტების მიხედვით 2024 წლის განმავლობაში გადანაწილდა შემდეგი მოცულობით:

- პირველი პრიორიტეტი ,,მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები“ დაფინანსდა 5 357 272 ლარით,პროცენტულად მთლიანი ბიუჯეტის 17,2 %-ს შეადგენს.

- მეორე პრიორიტეტი,, ინფრასტრუქტურის მშენებლობა ,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ დაფინანსდა 9 738 094 ლარით,რაც მთლიანი ბიუჯეტის 31,5 %-ს შეადგენს.

- მესამე პრიორიტეტი ,,დასუფთვება და გარემოს დაცვა“ დაფინანსდა 1 878 815 ლარით.რაც მთლიანი ბიუჯეტის 6,1 %-ს შეადგენს

- მეოთხე პრიორიტეტი ,,განათლება“ დაფინანსდა 2 751 783 ლარით,რაც მთლიანი ბიუჯეტის 8,9 %-ს შეადგენს

- მეხუთე პრიორიტეტი ,,კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი“ დაფინანსდა 2 803 586 ლარით, პროცენტულად მთლიანი ბიუჯეტის 11,1%-ს შეადგენს

- მეექვსე პროიორიტეტი ,,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველოფა“ დაფინანსდა 8 348 790 ლარით,რაც მთლიანი ბიუჯეტის 26,9 %-ს შეადგენს

- მეშვიდე პრიორიტეტი ,,ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა“ დაფინანსდა 122 470 ლარით.

სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა 41 400 ათასი ლარი სოციალური მიმართულებით.

ხაზინისა და აღრიცხვა-ანგარიშგების სფერო

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული იქნა შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიზანია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და საქმიანობის შედეგად მიღებული ფინანსური შედეგების შესახებ ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ყველაზე სრულყოფილი, ობიექტური და საიმედო ინფორმაციის მიწოდება ფინანსური ანგარიშგების შიდა და გარე მომხმარებლებისთვის.

2021 წლიდან ვიყენებთ ბუღალტრული წარმოებისათვის ახალ ანგარიშთა გეგმას, რომელიც შედგენილია სსბასს საფუძველზე, საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან შესაბამისად ორმაგი გატარებისთვის.

2024 წელში სამსახურმა უზრუნველყო: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღრიცხვის სანდოობა და სიზუსტე; სააღრიცხვო დოკუმენტების, ფინანსური ანგარიშგების შენახვა; სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია გასცა საბიუჯეტო დაწესებულების ფინანსური მდგომარეობის და საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ; უზრუნველყო საბიუჯეტო დაწესებულების, შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულების ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად სააღრიცხვო და საანგარიშო მონაცემების ოპერატიული მიწოდება.

სამსახურმა უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების და სახელმწიფო ხაზინაში წარდგენა. საბალანსო მონაცემებიდან გამომდინარე 2025 წლის 01/01 სათვის ანგარიშებზე ფულადი სახსრები შეადგენდა 638 870.82 ლარს. მატერიალური მარაგების ნაშთმა შეადგინა 92 598.16 ლარი, ავანსად გაცემული თანხის ნაშთმა-19 774.60 ლარი. რაც შეეხება ძირითად აქტივებს 2024 წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება 224 180 664,96 ლარის გრძელვადიანი აქტივები, მათ შორის: საცხოვრებელი შენობები 57880 ლარის, არასაცხოვრებელი შენობები 16 671 245,86 ლარის, სხვა ნაგებობები-137 450 865,70 ლარის, მიწა-65 979 288,38 ლარის, სატრანსპორტო საშუალებები 2 523 633,51 ლარის, მანქანა -დანადგარები 1 496 555.15 ლარის, დაუმთავრებელი მშენებლობა -7 017 861,95 ლარის. დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს გარდამავალ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს. მუნიციპალიტეტს ასევე ერიცხება როგორც გრძელვადიანი ასევე მოკლევადიანი ვალდებულებები სულ 1 107 083,96 ლარი.

სამსახური ყოველთვიურად წარადგენს შემოსავლების სამსახურში და სტატისტიკის ორგანოში იმ ინფორმაციას, რომლებიც სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება.

2024 წელს სამსახურმა მონაწილეობა მიიღო წლიურ ინვენტარიზაციაში, აღებული იქნა ანალიზური მონაცემები მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების და შედარებული ფაქტიურ აღწერასთან.

დაინერგა ახალი ბუღალტრული პროგრამა ,,დარიექსი,, რომელიც ხაზინასთანაა დაკავშირებული და ოპერატიულად იძლევა მონაცემებს როგორც სინთეზურ ასევე ანალიზურ მონაცემებზე.

სოციალური სფერო

2025 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტით გათვალისწინებულ 22 ქვეპროგრამას ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც სამსახურმა 6500-მდე კორესპონდენცია განიხილა და მასზე შესაბამისი რეაგირება უზრუნველყო.

მომართვიანობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამებზე დაფიქსირდა. 2025 წელს დადებითად დაკმაყოფილდა სამედიცინო მომსახურების მიზნით შემოსული 870 და მედიკამენტებით უზრუნველყოფის 505 მომართვა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ვეტერანებისა და მათი ოჯახების მხარდაჭერისათვის გაიცა 22300 ლარი, საიდანაც ფინანსური დახმარება

მიიღო 191-მა ვეტერანმა, 7-მა ომში დაღუპული ვეტერანის ოჯახის წევრმა და სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსება გაეწია სამი გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახს.

გარდა ვეტერანებისა, სოციალური პროგრამის ფარგლებში ყოველწლიური, ერთჯერადი დახმარებით სარგებლობენ აგრეთვე ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აღდგენით სამუშაოებში მონაწილე პირები. გასულ წელს **9** პირმა ისარგებლა აღნიშნული დახმარებით.

მუნიციპალიტეტის სოციალური ბიუჯეტით განსაზღვრული უფასო სასადილოს მომსახურებით 2024 წელს ისარგებლა 71-მა ბენეფიციარმა, რომელთაგან 5 პირს საკვები ყოველდღიურად შინ მიეწოდებოდა. აღნიშნულ მომსახურებაზე მოთხოვნა მოქალაქეთა მხრიდან დღითიდღე იზარდება, რის გამოც მიმდინარე წლისთვის შინ მიტანის სერვისით მოსარგებლე ბენეფიციართა ლიმიტი გავზარდეთ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ისიც, რომ გასულ წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა უფასო სასადილოს შენობის შიდა სივრცეს (სამზარეულოს), რამაც მკვეთრად გააუმჯობესა როგორც ბენეფიციართა მომსახურების, ასევე თანამშრომელთა სამუშაო პირობები.

სოციალური ბიუჯეტის ფარგლებში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია თანადგომის საჭიროების მქონე 479 ოჯახს; 18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვთა ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარებით ისარგებლა 72 ოჯახმა, რომელმაც ჯამში 115 ბავშვი მოიცვა.

ყოველთვიური ტრანსპორტირების ხარჯები აუნაზღაურდა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ 18 პირს;

მუნიციპალიტეტში მცხოვრები 3 დღეგრძელი (ას წელს გადაცილებული პირი) საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დასაჩუქრდა 500-500 ლარით.

ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანი ნაწილობრივ აუნაზღაურდა 3 ოჯახს და 38 უსახლკარო ოჯახს დაუფინანსდა ბინის ქირა.

2024 წელს მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში პირველად გახორციელდა სასკოლო ასაკის ბაღის აღსაზრდელთა პროფილაქტიკური კვლევა, რომელიც თვალის პათოლოგიისა და სქოლიოზის დროულ გამოვლენასა და მათთან დაკავშირებული სხვა დაავადებების აღმოცენების პრევენციას ითვალისწინებდა. კვლევით ისარგებლა 186-მა აღსაზრდელმა. გამოვლენილი დაავადების შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურობის დაცვით უშუალოდ ექიმის მიერ ეცნობათ მშობლებს.

მოგეხსენებათ, ბავშვთა უფლებების კოდექსის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. აღნიშნული განყოფილების მუშაობის ფარგლებში 2024 წლის განმავლობაში 15 ბავშვიანი ოჯახი ჩაერთო ,,ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების“ მუნიციპალურ პროგრამაში, რომლებმაც შეფასების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისი მხარდაჭერა მიიღეს.

მეორე და შემდგომი შვილის შეძენის შემთხვევაში განსაზღვრული ფინანსური დახმარების მიღების მიზნით მოგმართა 42-მა მშობელმა. აქედან, 14 მომართვა იყო მეორე შვილის შეძენის შემთხვევა, 15 - მესამე შვილის, 11 - მეოთხე და შემდეგი შვილის, ხოლო 4 მომართვა შეეხებოდა ტყუპების შეძენას. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობას, გასული წლის მონაცემებით მათი რიცხვი 56 ერთეულს შეადგენს და თითოეულ მათგანს გაეწია ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური დახმარება.

არაერთი ღონისძიება გახორციელდა შშმ პირთა მხარდაჭერისა და მათი საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით: ყოველწლიური ფინანსური დახმარება გაეწია 18 წლამდე ასაკის 48 შშმ ბავშვს; 47 მოთხოვნა დაკმაყოფილდა გადაადგილებაშეზღუდული და ეტლით მოსარგებლე შშმ პირების ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის თაობაზე. საზღვარგარეთ მკურნალობის მისაღებად ფინანსური

დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 2 შშმ პირს და სამედიცინო მომსახურება დამატებით დაუფინანსდა 9 შშმ პირს.

გასულ წელს პირველად განხორციელდა შშმ პირთათვის სამკურნალო-სარეაბილიტაციო მომსახურების ვაუჩერული დაფინანსება, რომელითაც 14-მა შშმ პირმა ისარგებლა.

სისტემატურად ფინანსდება პარასპორტსმენთა ყოველკვირეული ტრანსპორტირება სპორტდარბაზში; ასევე, შშმ პირთათვის შეძენილი იქნა პარასპორტული სახეობის - ,,ბოჩას" ინვენტარი (გასაშლელი მოედანი და ბურთები). საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით შშმ პირთათვის განხორციელდა ექსკურსიები და გასვლითი სპორტული აქტივობები, აღინიშნა შშმ პირთა უფლებების დაცვის დღეები.

წლის განმავლობაში ორგანიზება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის მერთან არსებულ შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოს 4 სხდომას, რომლის ფარგლებში განხილული საკითხების დიდი ნაწილი დადებითად გადაწყდა. მათ შორისაა იმ ინიციატივის განხორციელება, რომელიც სააფთიაქო ქსელების მიერ ჩვენი ვაუჩერების წარდგენის შემთხვევაში მედიკამენტებზე ფასდაკლებას შეეხება.

ეკომიგრანტებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ 2024 წელს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან 80 დასკვნაზე მეტია შემოსული. ამათგან, 52 ოჯახისათვის უსაფრთხო ადგილზე განსახლებაა რეკომენდებული და მერიის მხრიდან შესაბამისი დოკუმეტაცია გაგზავნილია სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში. რაც შეეხება გადაწყვეტილებებს, 2024 წელს საცხოვრისის შეძენისათვის დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია 25 ეკომიგრანტ ოჯახზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შეჭირვებული მოქალაქეების სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით გასული წლის ზაფხულში შესაძლებელი გახდა 180 კბ.მ საშეშე მერქნის რესურსის მობილიზება, რომელიც შესაბამისი კომისიის მიერ განაწილდა 90 ოჯახზე.

ინფრასტრუქტურა

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-თ განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტები დადგენილი წესით მართავენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსებს; უზრუნველყოფენ სივრცით და ტერიტორიულ მოწყობას; ავითარებენ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას (პარკები, სკვერები, გზები, განათების სისტემები და ა.შ.); მართავენ მუნიციპალურ ნარჩენებს; უზრუნველყოფენ წყალმომარაგებასა და წყალარინებას; ახდენენ მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებას; ორგანიზებას უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობას; ავითარებენ ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, სათანადო ინფრასტრუქტურას ბავშვებისა და მოხუცებისათვის; ასევე, ხელს უწყობენ დასაქმებას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმს; უზრუნველყოფენ სოციალურ დახმარებას და ჯანდაცვას, ახალგაზრდულ პოლიტიკას, გენდერულ თანასწორობას, გარემოს დაცვას, საჯარო განათლებას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვას, ინოვაციურ განვითარებას და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილი უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა არსებული ინფრასტრუქტურის განვითარება და ახლის შექმნა. ინფრასტრუქტურა ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს არა მხოლოდ ბიზნესისათვის, არამედ მთელი სოციუმისთვის უმნიშვნელოვანეს საკითხს. რამდენად კარგად მუშაობს სისტემა გამოიხატება იმაში, თუ როგორ ემსახურება ის სხვა აქტივობების განხორციელებას. ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის გათვალისწინებით ბაღდათის მუნიციპალიტეტს გააჩნია, საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის #42.62 განკარგულებით დამტკიცებული „ბაღდათის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა". მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებულ გეგმაში გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ბაღდათის უახლოესი მომავლის

განვითარების მიზნებისთვის და ის ასევე წარმოადგენს საფუძველს განვითარების საშუალოვადიანი მიზნების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები ყოველწლიურად მიმდინარეობს, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ჯერ კიდევ არასაკმარისაია. აუცილებელია სამუშაოების ეფექტიანად დაგეგმვა და ჩატარება. სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში მისასვლელი გზები ძირითადად მოწესრიგებულია, თუმცა გამოწვევად რჩება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის საკითხი. ბაღდათის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია იმ მოცულობის ადგილობრივი შემოსავლები, რომ მხოლოდ საკუთარი რესურსებით მოახერხოს გამოვლენილი საჭიროების დაკმაყოფილება. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი, რომელიც ქვეყნის რეგიონული განვითარების პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ყოველწლიურად ფონდიდან გაწეული დაფინანსება ხასიათდება მზარდი დინამიკით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილებით "საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრული წესით, მუნიციპალიტეტს რგპფ-დან 2024 წელს 17 ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად გამოეყო 7 305 161 ლარი, (ცხრილი #1).

7 586 884 ლარის სახელშეკრულებო ღირებულებით (მათ შორის 281 423 ლარის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება) განხორციელდა 13000 გრძ.მ-ზე მეტი სიგრძის გზის საფარის რეაბილიტაცია, ქ. ბაღდათში კეთილმოეწყო ხუთი საერთო საცხოვრებელი სახლის ეზო, სოფ. ვარციხეში რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 სამი საერთო საცხოვრებელი სახლის ფასადებს, სოფ. პირველ ობჩაში დაიწყო და წელს დასრულდება ე. წ. „მთისძირის დასახლების" წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, რომელიც 230 ოჯახს უზრუნველყოფს წყლით. 2024 წელს დაგეგმილი ყველა პროექტი დასრულებულია.

2024 წელს განხორციელდა 38 წვრილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა დაფინანსების წყარო იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 346 000 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის 4 325 ლარის თანადაფინანსება. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" შესაბამისად, მოსახლეობამ შეარჩია პრიორიტეტები, რომელთა ნუსხაც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა 8 ინფრასტრუქტურული ობიექტის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ღირებულებით 366 421 ლარი.

50 000 ლარზე მეტი სახელშეკრულებო ღირებულების ობიექტებზე, სამუშაოების განხორციელების პროცესის ზედამხედველობას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2024 წლის 22 იანვრის #33 ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფდა შ.პ.ს. „ჯეოექსპერტი", რომლის მოვალეობაც იყო სამშენებლო სამუშაოების მოქმედ ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციასთან და სამუშაოების მოცულობების ხარჯთაღრიცხვასთან შესაბამისობის კონტროლი, ასევე ინსპექტირების ანგარიშების (დასკვნა) მომზადება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტი აფორმებდა მიღება-ჩაბარების აქტებს. საზედამხედველო მომსახურების ღირებულება შეადგენდა ყოველ საზედამხედველოდ გადაცემულ ობიექტზე დადასტურებული ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების 3 %-ს.

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველო მთავრობის განკარგულებებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტს, 2024 წლის განმავლობაში სხვადასხვა ეტაპზე მომხდარი

სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად გამოეყო 7 680 000 ლარი. აღნიშნული დაფინანსების ფარგლებში 345 დაზარალებულ ოჯახს გადაეცა სახურავების აღსადგენი სამშენებლო მასალები, ხოლო 9 სოციალურად დაუცველ ოჯახს დამატებით მუნიციპალიტეტმა დაუფინანსა სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებიც, გადაიხურა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ოთხი შენობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრის შენობის ფასადის ნაწილს, მდ. ხანისწყალზე ხუთ ლოკაციაზე მოეწყო 617 გრ.ძ. ნაპირსამაგრი, სოფ პირველ ობჩაში მდ. ლუხუტაზე აშენდა ორი საავტომობილო ხიდი, სრულად რეაბილიტირდა სოფ. დიდველა-სოფ. როკითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის 550 მეტრიანი მონაკვეთის საფარი, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში მოეწყო ან რეაბილიტირდა სანიაღვრე სისტემები, გზის საყრდენი კედლები და სხვა ტიპის ინფრასტრუქტურა. მსგავსი ღონისძიებების განხორციელებით ერთის მხრივ ხდება სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია, ამავე დროს აღნიშნული წარმოადგენს პრევენციას, მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების უარყოფითი შედეგების შესარბილებლად.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულების შესაბამისად, მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობისთვის გამოიყო 235 889 ლარი, პროგრამის თანადაფინანსება 20846 ლარით უზრუნველყო მუნიციპალიტეტმა, განხორციელდა 30 პროექტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტები ასევე ხორციელდებოდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ, მათ შორის მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2024 წელს უზრუნველყო სოფ. წყალთაშუაში საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა და სოფ. ხანში არსებულის სრული რეაბილიტაცია.

ხსენებული ინფორმაცია წარმოდგენილია ასევე ცხრილების სახით:

ცხრილი #1

N	პროექტის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (რგპფ-ს ნაწილში)	რაოდენობრივი მაჩვენებელი (გრძივი მეტრი ან შენობების რაოდენობა)	მიმწოდებელი	შენიშვნა
	რგპფ				
1	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდველაში ე. წ. ლაბაძეების ს/გზის რეაბილიტაცია	537 420,00	925	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენი" ს/კ 221267064	დასრულებულია
2	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე. წ. კახიანი-ლომინაძეების ს/გზის რეაბილიტაცია	939 360,00	1623	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენი" ს/კ 221267064	დასრულებულია
3	ბაღდათის მუნიციპალიტეის სოფ. ფერსათში ე. წ. ლომსიანიძე-ოქროჭელიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	1 011 540,00	1867	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენი" ს/კ 221267064	დასრულებულია
4	ბაღდათის მუნიციპალიტეის სოფ. ფერსათში ე.წ.	116 245,00	198	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენ	დასრულებულია

	მსხვილიძეების ს/გზის რეაბილიტაცია			ი" ს/კ 221267064	
5	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში შ.პ.ს. „ლაბარასთან“ მისასვლელი ს/გზის რეაბილიტაცია	368 912,00	520	შ.პ.ს. ,,გლობალ ტექნიკსი" ს/კ 412751785	დასრულებ ულია
6	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე. წ. შემოვლითი ს/გზის რეაბილიტაცია	854 771,00	1196	შ.პ.ს. ,,გლობალ ტექნიკსი" ს/კ 412751785	დასრულებ ულია
7	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე. წ. გრძელიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	671 508,00	970	შ.პ.ს. ,,გლობალ ტექნიკსი" ს/კ 412751785	დასრულებ ულია
8	ქ. ბაღდათის ქუჩების გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია	405 294,00	885	შ.პ.ს. ,,გლობალ ტექნიკსი" ს/კ 412751785	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
9	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში 3 (სამი) მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია	57 769,00	3	შ.პ.ს. ,,ნიკოლა კონსტრაქშენი" ს/კ448057851	დასრულებ ულია
10	სოფ. პირველ ობჩაში ე.წ. მთისძირის დასახლების წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	827 351,00	1847	შ.პ.ს. ,,კომპანია ვაბე" ს/კ405335506	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
11	სოფ. დიმში ჩხეიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია	54 991,00	135	შ.პ.ს. ,,ჯთ ნიუ როად" ს/კ 435432499	დასრულებ ულია
12	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში ე.წ. გეგეშიძეები-გორგოძეები-ჩხეიძეები-ქავთარაძეების ს/გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	520 000,00	1728	შ.პ.ს. ,,ჯ და ჯ" ს/კ 221269080	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
13	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. როხში ე.წ. ცაგარეიშვილების ს/გზის რეაბილიტაცია	520 000,00	1745	შ.პ.ს. ,,ჯ და ჯ" ს/კ 221269080	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
14	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა დიმში, ე.წ. ებანოიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	70 000,00	1150	შ.პ.ს. ,,ჯ და ჯ" ს/კ 221269080	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
15	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. ფერსათში ე.წ. ბუიძე-კვირიკაშვილების ს/გზის რეაბილიტაცია (მეორე მონაკვეთი)	170 000,00	440	შ.პ.ს. ,,ჯ და ჯ" ს/კ 221269080	2024-2025 წლის გარდამავალ ი პროექტი
16	ქ. ბაღდათში შ. რუსთაველის ქუჩის გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია	110 000,00	300	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენ	2024-2025 წლის

				ი" ს/კ 221267064	გარდამავალი პროექტი
17	ბაღდათის მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები	70 000,00	6	შ.პ.ს. ,,საქმილსადენმშენი" ს/კ 221267064	2024-2025 წლის გარდამავალი პროექტი
		7 305 161,00			

ცხრილი #2

N	**პროექტის დასახელება**	**სახელშეკრულებო ღირებულება**	**მიმწოდებელი**	**შენიშვნა**
	ადგილობრივი ბიუჯეტი			
1	ქ. ბაღდათში ორ ლოკაციაზე ა. წერეთლის ქ-ზე და თამარ მეფის ქ-ზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების შენობების მშენებლობა	79 812,03	შ.პ.ს. ,,იდეალმშენი" ს/კ 415105380	დასრულებულია
2	სოფ. ზედა დიმში კვირიკაძეების ს/გზის გვერდულის გამაგრების სამუშაოები	39 054,98	შ.პ.ს. ,,ფოენიქსი" ს/კ 412754130	დასრულებულია
3	სოფ. დიმში თავხელიძე-მინაძეების ს/გზის გვერდულის გამაგრების სამუშაოები	20 512,72	შ.პ.ს. ,,ფოენიქსი" ს/კ 412754130	დასრულებულია
4	ქ. ბაღდათში ც. დადიანის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია	45 748,41	შ.პ.ს. ,,ფოენიქსი" ს/კ 412754130	დასრულებულია
5	ქ. ბაღდათში შ. რუსთაველის ქუჩის #15-ში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ფართის ნაწილის კოსმეტიკური რემონტის სამუშაოები	45 180,20	შ.პ.ს. ,,ალგო 2000" ს/კ 400118779	დასრულებულია
6	ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში არსებულ ტურიზმის ცენტრში ლაბორატორიის სარემონტო სამუშაოების	27 512,78	ი/მ ,,თორნიკე მერმანიშვილი" ს/კ 60001122423	დასრულებულია
7	ქ. ბაღდათში ა. წერეთლის ქ-ის #9-ში, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (ს/კ 30.11.33.001) ოთახების კოსმეტიკური რემონტის და ელ. გაყვანილობის შეცვლის სამუშაოები	8 602,86	ი/მ ,,დავით მშვილდაძე" ს/კ 09001003830	დასრულებულია
8	სოფ. მე–2 ობჩაში ე.წ. დათუაშვილებისა და ჭელიძეების ს/გზის რეაბილიტაცია	99 997,02	შ.პ.ს. ,,მეკა" ს/კ 431946754	
		366 421,00		

ეკონომიკის სფერო

მუნიციპალური ქონების მართვა

საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მუნიციპალური ქონების აღრიცხვა-რეგისტრაციას, მართვა განკარგვას და ეფექტურ გამოყენებას. ხელს უწყობს ქონების მართვა-განკარგვისთვის მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

2024 წლის განმავლობაში, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ შეადგინა შეადგინა **338 514** (სამასოცდათთვრამეტი ათას ხუთასთოთხმეტი) ლარი. მათ შორის, ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს **297 014** (ორას ოთხმოცდა ჩვიდმეტი ათას თოთხმეტი) ლარს, რაც 100 %-ით აჭარბებს 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების ოდენობას. 2024 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული იქნა 18 ელექტრონული აუქციონი (მათ შორის, ვადაგაგრძელებული და განმეორებითი აუქციონები). აუქციონის შედეგებიდან გამომდინარე, პრივატიზებული იქნა 6 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის 2 ერთეული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 57996,0 კვ.მ; 2 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 1517,0 კვ.მ., 1 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზედ მდებარე შენობა ნაგებობა; 1 დემონტაჟი , 2 ელ.აუქციონი შავი ლითონი (ჯართი) კერძოდ, პრივატიზებულია შემდეგი ქონება:

1. სოფელ დიმში 30.07.39.570 საკადასტრო კოდზე მდებარე 78,0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
2. სოფელ ვარციხე 30.03.35.029 საკადასტრო კოდზე მდებარე 1439,0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
3. სოფელ ვარციხე 30.03.35.027 საკადასტრო კოდზე მდებარე 2511,0 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
4. სოფელ ფერსათში 30.12.36.765 საკადასტრო კოდზე მდებარე 659 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა (341.1კვ.მ) (ყოფილი კულტურის სახლის შენობა);
5. სოფელ ვარციხეში „ჭინჭარაული“ 30.01.33.051 საკადასტრო კოდზე მდებარე 55 485 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი
6. სოფელ ვარციხე 30.03.41.539 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟი (ყოფილი ბაღი შენობის N2, N3, N4)
7. შავი ლითონი (ჯართი) წონით 1090.0 კგ;
8. მეორადი გათბობის ბატარეიები(შავი ლითონი ჯართი) წონით 3000 კგ.

გარდა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის საკითხისა, სამსახურის მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვის საკითხში შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციით.

2024 წლის განმავლობაში სულ მოქმედი იყო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის 25 ხელშეკრულება. აქედან, 2024 წელს გაფორმებულია 9 ხელშეკრულება. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მიღებულ შემოსავლებში სარგებლობის უფლებით გაცემული

ქონებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 41 500 (ორმოცდაერთი ათას ხუთასი) ლარი. სამსახურის მიერ სისტემატურად ხორციელდება სარგებლობის უფლებით განკარგულ ქონებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა და საიჯარო ქირების გადახდის საკითხი და დარღვევის შემთხვევაში ხორციელდება შესაბამისი რეაგირება.

2024 წლის განმავლობაში მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში დასმული იქნა საკითხი და მუნიციპალიტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საკუთრების უფლებით გადმოცემული იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებელი ქონება (3 ერთეული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 365 კვ.მ.) კერძოდ:

1. სოფელ ვარციხეში 30.03.31.620 საკადასტრო კოდზე მდებარე 52 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
2. სოფელ დიმში 30.07.38.408 საკადასტრო კოდზე მდებარე 49 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;
3. სოფელ ფერსათში 30.12.35.184 საკადასტრო კოდზე მდებარე 264 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა როგორც დაუზუსტებელი მონაცემების რეგისტრირებული უძრავი ქონების რეგისტრაციის დაზუსტება, ასევე დაურეგისტრირებელი სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მუნიციპალურ საკუთრებათ რეგისტრაცია (სოფელ ვარციხეში 30.01.33.051 საკადასტრო კოდზე მდებარე 55485 კვ.მ. სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი).

2024 წლის განმავლობაში, მოქმდედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის თანხმობების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)ი.პ-ებისთვის გადაცემულია შემდეგი უძრავი/მოძრავი ქონება:

1. ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებას“ :

ა) 2 ერთეული ავტობუსი თითოეული საბალანსო ღირებულებით 343 500 (სამას ორმოცდასამი ათას ხუთასი) ლარი;
გ) კომპიუტერული ტექნიკა საბალანსო ღირებულებით 1910 (ერთი ათას ცხრაას ათი);

2. ა.(ა.).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა გაერთიანებას:

ა) სოფ. წყალთაშუაში 30.10.35.772 ს/კ მდებარე საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობა საბალანსო ღირებულებით 1 329 596 (ერთი მილიონ სამასაოცდაცხრა ათას ხუთასოთხმოცდათექვსმეტი)ლარი;
ბ) კომპიუტერული ტექნიკა საბალანსო ღირებულებით 3 290 (სამი ათას ორას ოთხმოცდაათი) ლარი;

3. ა.(ა.).ი.პ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლს:

ა) კომპიუტერული ტექნიკა საბალანსო ღირებულებით 1780 (ერთი ათას შვიდას ოთხმოცი) ლარი;

4. ა.(ა.).ი.პ. ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს:

ა) კომპიუტერული ტექნიკა საბალანსო ღირებულებით 1430 (ერთი ათას ოთხას ოცდათი) ლარი.

- ა.ა.ი.პ სოფლის განვითარების საგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იმერეთის რეგიონული სამსახურს სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში

არსებული ქ.ბაღდათის წერეთლის N9-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 2 (ორი) ოთახი საერთო ფართით 34.72 კვ.მ;

- მოქალაქეებისთვის სანოტარო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში ყოფილი პროკურატურის შენობის პირველ სართულზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებად 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 295.49 კვ.მ. ფართიდან 30.0 კვ.მ. (ოთახი N5) ფართები;
- სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს სარგებლობის უფლებით გადაცემული იქნა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, ვაჟა ფშაველას ქ. N5-ში ყოფილი პროკურატურის შენობის პირველ სართულზე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებად 30.11.33.489.01.506 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 295.49 კვ.მ. ფართიდან 13.3 კვ.მ. (ოთახი N3) ფართი.

ეკონომიკური განვითარების ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურად მუშაობდა: ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების, კერძო სექტორის გაძლიერების, სამეწარმეოო უნარების გაუმჯობესების და ინვესტიციების ზრდის მხარდასაჭერად საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებთან გარე დაფინანსების მოძიების და პარტნიორული პროექტების განხორციელების მიმართულებით.

კერძოდ;

2024 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტი აქტიურად მუშაობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მხარდაჭერით პროექტის "მდგრადი რეინტეგრაცია და თემის გაძლიერება" ფარგებში. პროექტის მიზანია დაბრუნებული მიგრანტებისა და მათი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა, რაც მოიცავს როგორც საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე სამეწარმეო უნარების გაძლიერებას და უკან დაბრუნების თემების გაძლიერების მხარდაჭერას.

პროექტის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ბაზაზე ფუნქციონირებს საკონსულტაციო ცენტრი, რომელიც აქტიურად ემსახურება დაბრუნებულ მიგრანტებს, მიგრანტთა ოჯახის წევრებს და სხვა დაინტერესებულპირებს.
2024 წლის განმავლობაში საკონსულტაციო ცენტრმა საინფორმაციო / საკონსულტაციო მომსახურება გაუწია 100-ზე მეტ დაინტერესებულ პირს, მათ შორის, 40-ზე მეტ მეწარმეობის მსურველ პირს, მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მიზნით.

ამაზე პროექტის ფარგლებში განყოფილების მიერ დაინიცირდა და iom საქართველოს მხარდაჭერით განხორციელდა 2 პროექტი სოფელ როხში არსებულ ახალგაზრდობის ცენტრში, რომლებიც მოიცავდა ახალგაზრდობის ცენტრის ბაზაზე 60 + კლუბის დაარსებას და მათთვის ტექნიკური აღჭურვილობის და თანამედროვე მწერლების წიგნების გადაცემას.

2024 წელს ბაღდათის მუნიციპალიტეტში პროექტების შემუშავებისა და მართვის უნარების გაძლიერების მიზნით განხორციელდა განყოფილების სპეციალისტთა გადამზადება - სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის მიე გადამზადდა მუნიციპალიტეტის სამი თანამშრომელი.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილების და მდგრადი ენერგეტიკის 2023-2030 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ ინიცირებული იქნა მნიშვნელოვანი პროექტები და დაფინანსების მოპოვებისთვის წარდგენილი იქნა განაცხადები მერების შეთანხმების ცენტრალურ ოფისსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციასთან.

კერძოდ:

1.მრავალბინიანი დასახლებების ენერგო აუდიტი;

1.მდგრადი ენერგეტიკის მოდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში -მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოდერნიზაცია.

მერების შეთანხმების ცენტრალური ოფისის მიერ დაფინანსდა ექსპერტის მომსახურება და მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით განხორციელდა ქალაქ ბაღდათში 2 მრავალბინიანი სახლის ენერგო აუდიტი. აღნიშნული დოკუმენტი იძლევა განზოგადების საშუალებას და წარმოადგენს შესაძლებლობას, კერძო და საჯარო თანამშრომლობით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩართულობით მოპოვებული იქნას დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი დასახლებების ენერგიის მოხმარების მოდერნიზაციის სადემონსტრაციო პროექტის განსახორციელებლად .

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის მირ მოწონებული იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი განაცხადი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოდერნიზაციის პროექტზე, ხოლო დაფინანსების განხილვა დროებით შეჩერებულია.

საანგარიშო წლის პერიოდში მუნიციპალიტეტი ახორციელებდა ღვინის ლაბორატორიის მოწყობის პროექტს, რომელიც შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს. ლაბორატორიის ფართის ადაპტაცია განხორციელდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, ხოლო ევროკავშირის და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით მიმდინარეობს ლაბორატორიის ტექნიკით, ინვენტარითა და მოწყობილობებით აღჭურვა, რომელიც 15 თებერვალს დასრულდება.

განყოფილება აქტიურად მუშაობს საინვეტიციო კლიმატის გაუმჯობესების მიმართულებით. მუნიციპალიტეტი ჩართულია ქართულ-პოლონურ პროექტში, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების საინვეტიციო მიმზიდველობის მხარდაჭერას და მეწარმეობის ხელშეწყობას. პროექტი „ინვესტორ მეგობრული ადმინისტრაცია“ მასში ჩართულ მუნიციპალიტეტებს აძლევს საერთაშორისო ლიცენზირების შესაძლებლობას. აღნიშნული მოითხოვს დადგენილი სტანდარტის შესაბამისი საინვესტიციო პლატფორმის შექმნას.

პლატფორმის შექმნის მიზნით განყოფილებამ მოამზადა და დააინიცირა განაცხადი ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გამოცხადებულ ინტერ მუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერების მამართულებაზე, როლს შედეგადაც UNDP-ს დაფინანსებით შეიქმნება “Invest in Imereti” სადაც მუნიციპალიტეტს ექნება თავის პროფილი. ვებ გვერდი იქნება ორენოვანი. პლატფორმა მუნიციპალიტეტებს და ავტორიზებულ მომხმარებლებს მისცემს შესაძლებლობას შესაბამის ველში განათავსონ საინვესტიციო რესურსები და წინადადებები

ასევე, 2024 წელს განყოფილებამ დაფინანსება მოიპოვა გოეთეს ინსტიტუტიდან შემოქმედებითი ინდუსტრიების ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღრიცხვის მიზნით. მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელდა 50 ობიექტის აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის ფორმირება. ამასთან პროექტის ფარგლებში შეძენილი იქნა მაღალი ხარისხის ციფრული გადაღების აპარატი. პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის კულტურული, ისტორიული და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დეტალურ აღწერას და მათი პოტენციალის შეფასებას, რათა ხელი შეეწყოს შემოქმედებითი ინდურის ჩართვას ტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში.

ტურიზმის განვითარების განყოფილება

მუნიციპალიტეტი აქტიურად ახორციელებს ბაღდათის ტურისტულად მიმზიდველ ლოკაციად ჩამოყალიბებისთვის ხელშემწყობ სხვადასხვა აქტივობებსა და ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში დასაქმებული სუბიექტების ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებით.

ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ლოკაციებით დაინტერესების გაზრდისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით ხორციელდება აქტიური თანმშრომლობა სხვადასხვა ტურისტულ ორგანიზაციებთან.

ქვეყნის შიგნით და გარეთ, მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდა/ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, კერძოდ:

- 24-28 იანვარს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, მონაწილეობა მივიღეთ მსოფლიო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში ესპანეთში, ქალაქ მადრიდში, სადაც 160 ქვეყნის წარმომადგენელმა მოიყარა თავი. ესპანეთი საქართველოსთვის ერთ-ერთ მიზნობრივ ტურისტულ ბაზარს წარმოადგენს, ამიტომაც, გამოფენაში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია უკვე მე-10 წელია მონაწილეობს, რაც საუკეთესო საშუალებაა საქმიანი ურთიერთოების დასამყარებლად;
- 13 თებერვალს, ქ. თბილისში გაიმართა სამუშაო შეხვედრა სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოში შპს ,,ვერიტას ბრაუნ"-ის წარმომადგენლებთან, ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებულ კურორტ `ზეკარზე" ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის თაობაზე;
- 2024 წლის 29 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით, ქალაქ ლისომიცეში გაიმართა ლისომიცეს კომუნის საბჭოს საზეიმო სხდომა, სადაც მიწვეული იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაცია;
-
- 23-24 მარტს, ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში ჩატარდა შეჯიბრი ოფროუდ-ვარციხე, ღონისძიებაში ჩართული იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილება;
- მეღვინეთა გილდიის თხოვნის საფუძველზე, განყოფილების მიერ დაორგანიზდა და ჩატარდა ტრენინგი თემაზე „გასტრონომიული ტურიზმი", რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს გასტიოტურიზმის განვითარებას ჩვენს მუნიციპალიტეტში;
- 2024 წლის 21 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქ წყალტუბოში დაიგეგმა ბაღდათისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საბჭოების სამუშაო შეხვედრა, მუნიციპალიტეტებში არსებულ თერმულ წყლებსა და ტურისტულ პოტენციალთან დაკავშირებით;
- ორმხრივი კონტაქტების გაფართოებისა და სხვადასხვა სფეროებში (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გარემოსა და ბუნების დაცვა, განათლება და პროფესიული მომზადება, ჯანდაცვა და სხვ.) პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ზალცლანდის ოლქსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაცია გერმანიის ფერდერაციულ რესპუბლიკაშის საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ზალცლანდის ოლქში. ვიზიტის ფარგლებში განხილული იყო საკითხები მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული სფეროების შესახებ, მოხდა ინფორმაციის გაზიარება აღნიშნულ სფეროებში არსებული პრაქტიკის შესახებ და დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმების. რის საფძველზეც

მერიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა მემორანდუმით განსაზღვრული სფეროების ფარგლებში ინიციატივების მომზადება შემდგომში გერმანული მხარისთვის წარსადგენად;

- 22-23 აპრილს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ეგიდითა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „კურორტების განვითარების სააგენტოს“ ხელშეწყობით ქალაქ წყალტუბოსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში (კურორტ საირმეში) გაიმართა ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის გენერალური ასამბლეა და თერმული კონფერენცია. შეგახსენებთ, რომ ბაღდათის მუნიციპალიტეტი 2017 წლიდან არის ევროპის ისტორიული თერმული ქალაქების ასოციაციის წევრი და ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული კონფერენცია კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, თერმული რესურსების განვითარებასა და სტიმულირებას ჩვენს მუნიციპალიტეტში;
- 10-12 მაისს მონაწიეობა მივიღეთ “ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-15 საერთაშორისო გამოფენა - EBIT 2024”-ში ქალაქ ბათუმში. აღნიშნული გამოფენისა და მასში მონაწილეობის მიზანია ტურისტული კომპანიების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი სერვისების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნეს კონტაქტების მოძიება და სამომავლოდ საქმიანი ურთიერთობების გაცვლა;
- 29 მაისი - 2 ივნისს ლიეტუვის რესპუბლიკის ქალაქ კაიშიადორისსა და ბაღდათის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, ტურისტულ - კულტურული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაცია ვიზიტით იმყოფებოდა ქალაქ კაიშიადორისში;
- 19 ივლისს, ვ.ვ. მაიაკოვსკის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, ადგილობრივი მეწარმეებისთვის გარე სივრცეში მოეწყო კუთხე, სადაც წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი ნაწარმი;
- ბაღდათის განვითარების ფონდის თანადაფინანსებით სექტემბერში მიმდინარეობდა ბაღდათის საიმიჯო კლიპის გადაღების პროცესი. ვიდეორგოლში აღბეჭდილია მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი ტურისტული ლოკაციები და ღირსშესანიშნაობები, ასევე დამზადდა ბროშურები მუნიციპალიტეტის ტურისტული ლოკაციების შესახებ;
- ტურიზმის განვითარების განყოფილება აქტიურად იყო ჩართული სახალხო დღესასწაულ ბაღდათობაში ადგილობრივი მეწარმეების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით;
- მეღვინეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სამი წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ კოლეჯ იბერიასთან. ერთობლივად შემუშავდა და დაინერგა სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამები: ,,მეღვინე დეგუსტატორი,“ „მარნის მასპინძელი,“ ,,ბიო-ორგანული მევენახეობა,“ და ა.შ აღნიშნული პროგრამით ისარგებლა ბევრმა ადგილობრივმა მევენახემ და მეღვინემ.

სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება

სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებას და აქტიურად თანამშრომლობს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოების ჩასატარებლად, ძირითადად კერძო სექტორიდან, მობილიზებული იყო 36 ერთეული სხვადასხვა სახის ტრაქტორი, (23 ერთეული „ბელარუსი“, 3 ერთეული „კ-700“ და ერთი ერთეული „ტ-100“). 2024 წელში დამუშავებული და დათესილი მიწის ფართობმა შეადგინა 1805 ჰა, რაც 2023 წლის მონაცემებთან შედარებით გაცილებით მეტია (2023 წ-ს მოხნული და დათესილი მიწის ფართობი შეადგენდა 1748ჰა-ს).

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“-ის კუთხით, ბაღების გაშენების კომპონენტში, გარკვეული აქტიურობა შეინიშნება დაფნის კულტურის გაშენების მიმართულებით. 14 ბენეფიციარის მიერ უკვე გაშენებულია ან გაშენების პროცესშია 53 ჰა ფართობის პლანტაციები, შედარებით მცირე ფართობზე გაშენდა ტყემლის, ქლიავის, თხილისა და კაკლის კულტურები.

მერძევეობის მოდერნიზაციის პროგრამაში ჩართულია 3 ბენეფიციარი, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში სოფ.ვარციხეში აიგო 20ტ. ტევადობის სამაცივრე მეურნეობა.

გრძელდება ბრძოლა აზიურ ფაროსანასთან. ამ მიზნით 28/02/2024-ში მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას უწევდა მიმდინარე სამუშაოებს ამ კუთხით. ფაროსანას გავრცელების მასშტაბის განსაზღვრის მიზნით ტერიტორიულ ერთეულებში დაყენებული იყო ფერომონები, რაც საშუალებას იძლეოდა გვეკონტროლებინა ფაროსანას გავრცელების ინტენსივობა და ჩაგვეტარებინა შესაბამისი სამუშაოები.

2024 წლის განმავლობაში სხვადახსვა ორგანიზაციებიდან შემოსულია ათეულობით მომართვა და კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილია სათანადო დონეზე და პასუხი გაცემულია შესაბამისი ვადების დაცვით. სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული საგენტოდან“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის მიღების მოთხოვნით სულ შემოსულია 10 მომართვა, აქედან 4-ს მიეცა თანხმობა, 6 უარყოფილი იქნა.

2024 წლის თებერვალში მომხდარი სტიქიის შემდეგ ასევე დაიწყო მომართვიანობა მოსახლეობიდან, გეოლოგიური მომსახურების გაწევის მიზნით, თითოეული განცხადება განხილულია და შესაბამისი ვადების დაცვით გადაგზავნილია „გარემოს ეროვნულ სააგენტოში“ კოორდინაციას ვუწევთ ბაღდათში მოვლინებულ გეოლოგთა ჯგუფებს.

განყოფილება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ატარებდა შეხვედრებს და კონსულტაციებს ფერმერებთან, მეღვინეებთან, და სოფლის მოსახლეობასთან, ხდებოდა მათი ინფორმირება სახელმწიფო პროგრამებისა და აგროტექნიკური ღონისძიებების შესახებ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 17 ნოემბრის N:66223212 ბრძანებით შეიქმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა „ბაღდათის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2027 წ.“). გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზნებიდან, როგორიცაა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება, სეპარირება, კომპოსტირებისა და ტრანსპორტირების ეფექტურობის გაუმჯობესება დაწყებულია ხელშემწყობი პროცესები. მაგალითად: მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება გარემოს დაცვის და ნარჩენების სწორად და ეფექტურად მართვის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასევე ტარდებოდა გარემოსდაცვითი ღონისძიებები: 22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეს, ჩატარდა ერთ-ერთი დასუფთავების აქცია. დასუფთავდა მდ. ხანის წყლის მიმდებარე ტერიტორია.

განათლების, კულტურის და სპორტის სფერო

კულტურის სფეროს მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო და განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია „ბაღდათობის„ დღესასწაული, რომელიც წინა წლებთან შედარებით გამოირჩეოდა თავისი მრავალფეროვნებით. ტრადიციულად დღესასწაულზე მოხდა ბაღდათის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება.

ასევე მნიშვნელოვანია 2024 წლის დასაწყისში და წლის ბოლოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით გამართული საახალწლო ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოეწყო საშობაო ბაზრობა, პატარების გართობაზე იზრუნა ანიმატორებმა და ქუჩის მუსიკოსებმა, დასასრულს გაიმართა კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით.

28 მაისს, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა უფასო კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით.

წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია მუნიციპალიტეტში 7 თებერვალს დატრიალებული ტრაგედიის დროს დაღუპულებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, კერძოდ შესრულდა კომპოზიტორ ნუკრი კარკაძის მიერ ამ ტრაგედიის დროს დაღუპულებისადმი მიძღვნილი 7 „AVE MARIA", სიმებიანი კვარტეტის თანხლებით. აღნიშნული კონცერტი უფრო მასშტაბურად გაიმართა მიმდინარე წელსაც ტრაგედიის ერთი წლისთავთან დაკავშირებით.

2024 წელს ბაღდათის სახალხო თეატრმა 2 ახალი სპექტაკლი აჩვენა მაყურებელს და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამის შედეგია ისიც, რომ დასი თეატრალურ ფესტივალიდან 4 მნიშვნელოვანი პრიზით დაბრუნდა.

სპორტის სფეროს მიმართულებით მნიშვნელოვანია ის რომ წლის განმავლობაში მუნიციპალური შეჯიბრებები გაიმართა ფეხბურთის, ფრენბურთის და მაგიდის ჩოგბურთის განხრით, სადაც მთლიანობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით 300 მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ტურნირები იმართებოდა არა მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე, არამედ სოფლებშიც.

სასკოლო ასაკი მოიცვა ჭადრაკის ტურნირმა, იმერეთის სასკოლო ლიგის შეჯიბრებამ მინი ფეხბურთში, ოლიმპიზმის და სპორტის საერთაშორისო დღემ, სპორტულმა კვირეულმა და „სასკოლო სპორტულმა ოლიმპიადამ", რომელიც 2015 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება ყოველწლიურად და შეჯიბრებები ტარდება სპორტის შვიდ სახეობაში, როგორც ვაჟებში, ასევე გოგონებში.

აღსანიშნავია მარტის თვეში გამართული off road (ოფროუდი)-ის საერთაშორისო შეჯიბრი, რომელიც ჩატარდა შატო ვარციხეში ქუთაისის ოფროუდ ფედერაციის და ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა.

ასევე გაიმართა ფეინთბოლის მუნიციპალური შეჯიბრება რომელშიც ჩართული იყო 40 ბაღდათელი ახალგაზრდა მონაწილე.

ივნისი-ივლისის თვეში, ახალგაზრდობის სკვერში მოეწყო სივრცე, სადაც ბაღდათის მაცხოვრებლებს შეეძლოთ დიდ ეკრანზე ევროპის ჩემპიონატის ნახვა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთად გულშემატკივრობა.

განათლების კუთხით მნიშვნელოვანი ფაქტია ის რომ ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ხუთმა აბიტურიენტმა შეძლო ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100% პროცენტიანი გრანტის მოპოვება, ასევე გვყავდა ორი 70 % და ცამეტი 50% პროცენტიანი გრანტის მქონე აბიტურიენტები, რომლებიც წახალისების და მოტივაციის ამაღლების მიზნით ფულადი პრემიით დავაჯილდოვეთ.

14 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის, ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და როხის კულტურის ცენტრში გაიმართა, სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი ღონისძიებები.

1 ივნისს, გაიმართა ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება რისთვისაც მოწყობილი იყო საბავშვო ატრაქციონები და მონაწილეობას იღებდნენ ზღაპრის გმირები.

მთელი 2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოსამზადებელი ეტაპი მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის პროცესისათვის, მ/წელს ოთხი საბავშვო ბაღია ჩართული აღნიშნულ პროცესში.

ახალგაზრდული მიმართულებით, 2024 წელს, წინა წლებთან შედარებით, მასშტაბურად აღინიშნა 12 აგვისტო, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. ის დატვირთული იყო მრავალფეროვანი სპორტულ, ინტელექტუალური აქტივობებით, რომელიც ბენდის „რეზო და ბავშვები"-ს კონცერტით დამთავრდა.

გასული წლების მსგავსად 2024 წელსაც აქტიურად ვუჭერდით მხარს და დავაფინანსეთ, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის კონკურსები, როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე გასვლით ჩემპიონატებში.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსის განხორციელების მიზნით, წინა წლის წარმატებული პრაქტიკიდან გამომდინარე, 2024 წელს ბიუჯეტი 3 ათასი ლარიდან 8 ათას ლარამდე გაიზარდა, შემოსული ინიციატივებიდან კი 4 პროექტი დაფინანსდა და განხორციელდა.

2024 წელს ახალგაზრდული საბჭოს ახალი შემადგენლობა დამტკიცდა. საბჭო აქტიურად იყო ჩართული მრავალი ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში, როგორიცა: ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსში გამარჯვება და დაფინანსება, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში გამარჯვება, რომლის წევრიც ბაღდათის საბჭოცაა. ახალგაზრდებს ვიზიტები ჰქონდათ სხვა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საბჭოებთან მათთან ინფორმაციის გაცვლისა და გამოცდილი პრაქტიკის გაზიარების მიზნით. განახორციელეს სასწავლო ექსკურსიები, კინოჩვენებები და ადგილობრივ დონეზე შემეცნებით ინტელექტუალური თამაშების ჩატარება.

ასევე 2024 წლის კონკურსში: ,,წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდო" რომელიც ახალგაზრდობის სააგენტოსა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, გამარჯვებული გახდა ბაღდათის ახალგაზრდული საბჭოს წევრი ნინი თავხელიძე.

ზედამხედველობა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური მისი დებულების შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს: ახორციელებდა კონტროლს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიღებულ გადაწყვეტილებების შესრულებაზე, მშენებარე შენობა-ნაგებობებზე მშენებლობის დაწყებიდან დასრულებამდე, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე იერსახის, კეთილმოწყობის და მიწათსარგებლობის წესების, სანიტარული ნორმების, გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე.

2024 წლის მანძილზე სამსახურს დაეწერა და რეაგირება მოახდინა 251 წერილზე, მათ შორის 94 წერილი განეკუთვნებოდა მოქალაქეთა განცხადებებს , 37 წერილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს და 120 შიდა სამსახუროებრივს.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილია 15 სამშენებლო სამართალდარღვევა. აქედან 6 სამართალდარღვევა განეკუთვნებოდა უკანონო მშენებლობას, ხოლო 9 სამართალდარღვევა განეკუთვნებოდა სამშენებლო სანებართვო პირობების დარღვევას. თხუტმეტივე კანონდამრღვევი დაჯარიმდა კანონის შესაბამისად. აქედან ერთმა გადაწყვეტილება დაჯარიმებაზე გაასაჩივრა მუნიციპალიტეტის მერთან და ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით აღნიშნული სამართალდამრღვევის მიერ განხორციელებული მშენებლობა იქნა აღიარებული უკანონოდ, ხოლო შემდგომ სამართალდამრღვევმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. პროცესი არ შემდგარა .

სამშენებლო სამართალდარღვევებზე ჯარიმის სახით შემოსულმა თანხამ ჯამში შეადგინა 22000 (ოცდაორი ათასი) ლარი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში ექსპლუატაციაში მიღებულია და ვარგისად აღიარებულია 21 მშენებლობა დასრულებული ობიექტი.

სამუშაო პერიოდის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გამოვლენილია 4 ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი. მათ მიმართ გატარდა კანონის შესაბამისი ქმედებები. აქედან ერთი სამართალდამრღვევის მიმართ სასამართლო შემოიფარგლა სიტყვიერი შენიშვნით, ხოლო ჯარიმების სახით შემოსული თანხა ჯამში წლის მანძილზე შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს.

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში განხორციელებული იქნა მერიის 2 სამსახურის, 1 პროგრამის და 1 ა(ა)იპ-ის საქმიანობის შემოწმება და ჯამში შედგენილი იქნა 4 ობიექტის შიდა აუდიტორული შემოწმების ანგარიში.

აუდიტორულ შემოწმების შედეგად შესწავლილი და შეფასებული იქნა აუდიტის ობიექტების მიერ უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო ქმედებები რამდენად შეესაბამებოდა მაწესრიგებელ კანონმდებლობას, წესებს, საუკეთესო გამოცდილებებს და რამდენად იქნა შესამოწმებელი ერთეულების მიზნები და ამოცანები მიღწეული და შესრულებული.

2024 წელს განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად, სულ აუდიტის სამსახურის მიერ ობიექტებზე ჯამში გაცემული იქნა 25 რეკომენდაცია. შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების მიზანია, აუდიტის ობიექტში შიდა კონტროლის სისტემების დანერგვითა და გაძლიერებით, უზრუნველყოს შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება რისკების მართვისათვის, რაც ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებას.

ზემოხსენებული 4 აუდიტორული ანგარიშის გარდა 2024 წლის განმავლობაში საკრებულოს წინაშე შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის მიერ მომზადებული და წარდგენილი არის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში. 2024 წლის განმავლობაში აუდიტის სამსახურის მიერ ხდებოდა I, II და III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების განხილვა. აღნიშნული შემოწმება გულისხმობს ბიუჯეტის შესრულების შესწავლას, დაგეგმვასა და შესრულებას შორის სხვაობების მიზეზების დადგენას, პრობლემების გამოვლენას და რეკომენდაციების გაცემას. ასევე ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, საკრებულოსთვის წარდგენილი იქნა 1 ობიექტის აუდიტორული შემოწმების ანგარიში.

2024 წლის ბოლოს სამსახურის მიერ, მოხდა წინა წლებში განხორციელებული აუდიტორული შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შემოწმება, შესაბამისად შედგენილია მონიტორინგის ანგარიში.

აუდიტის სამსახურის საქმიანობა წლის განმავლობაში არ შემოიფარგლებოდა, მხოლოდ აუდიტორული შემოწმებებით და ზემოაღნიშნული ანგარიშების შედგენით. აუდიტის სამსახურს ხშირი კომუნიკაცია აქვს მერიის სამსახურებთან და ა(ა)იპ-ებთან, რაც გამოიხატება სხვადასხვა საკითხებზე და წამოჭრილ

პრობლემებზე კონსულტაციების გაწევით, რჩევების მიცემით, აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით.

საქმისწარმოება და დოკუმენტბრუნვა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილებამ 2024 წელს შესაბამისი კანონმდებლობისა და მერიის დებულებით დადგენილი წესით უზრუნველყო საქმისწარმოების წარმართვა შემდეგი მიმართულებით:

- მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში მოქალაქეთა მიღების ორგანიზება, მათთვის კონსულტაციის გაწევა მერიაში არსებული სერვისებისა და მომსახურების შესახებ
- ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, ასევე ფოსტით და ელექტრონული ფორმით შემოსული კორესპოდენციების აღრიცხვა, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემებში შესაბამისი წესით დარეგისტრირება და მათი ადრესატებისათვის გადაგზავნა.
- გასაგზავნი კორესპოდენციების რეგისტრაცია და ფოსტით, ელ. ფორმით ან სხვა დადგენილი ფორმით გაგზავნა, ასევე ადრესატებისთვის მიწოდების კონტროლი.
- სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება კორესპოდენციის შესრულების შესახებ.
- საარქივო დოკუმენტაციის განსაზღვრა და არქივისთვის გადასაცემად მომზადება.
- საჯარო ინფორმაციის მომზადება.

საქმისწარმოების განყოფილება 2024 წელს დოკუმენტების აღრიცხვისა და დამუშავებისთვის იყენებდა ორ ელექტრონულ სისტემას “MSDA” და “MMS”

“MMS” პროგრამა ჩაშენებულია “MSDA”-ში და მოიცავს **სოციალურ მიმართულებას** ასევე **მაღალმთიანი სოფლის სტატუსის** მინიჭებისა და მასთან დაკავშირებული კორესპოდენციების აღრიცხვას.

- ბაღდათის მუნიციპალიტეტს შესაბამისი ხელშეკრულების ფარგლებში მომსახურებას უწევს საქართველოს ფოსტა, აღსანიშნავია, რომ ელექტრონული საქმისწარმოების პირობებში, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ფოსტით გასაგზავნი კორესპოდენციების რაოდენობა, შესაბამისად შემცირდა საფოსტო მომსახურების ხარჯები.
- 2024 წელს საქმისწარმოების განყოფილების მიერ განისაზღვრა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ეროვნული არქივის ადგილობრივი წარმომადგენლობის მიერ დამუშავდა მერიის შიდა არქივში განთავსებული დოკუმენტები 2015 წლის ჩათვლით,
- 2024 წლის ბოლოს მომზადდა შიდა არქივისათვის განზაზღვრული საცავი, რაც დააკმაყოფილებს საარქივო დოკუმენტაციის დაცვისა და დამუშავებისათვის აუცილებელ პირობებს.
- 2024 წლის ბოლოს საქმისწარმოების განყოფილების შესაბამისი სპეციალისტისა და ეროვნული არქივის ადგილობრივი წარმომადგენლის მიერ შემუშავდა 2025 წლისათვის დასამუშავებელი საარქივო დოკუმენტების გეგმა.
- დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად აღირიცხა და დამუშავდა 2024 წლის მატერიალური ფორმით არსებული პირველადი დოკუმენტები.
- საქმისწარმოების განყოფილება პერიოდულად ამზადებს სტატისტიკურ მონაცემებს კორესპოდენციების შესრულების შესახებ, რომელიც სახელმძღვანელოდ ეგზავნება შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურს, ასევე მერიის ყველა სამსახურის ხელმძღვანელს.
- 2024 წელს საქმისწარმოების განყოფილების მიერ მიღებული და დამუშავებულია 5941 შემოსული კორესპოდენცია, მათ შორის ელექტრონული წერილების რაოდენობაა 2108 ; მოქალაქის პორტალიდან (ms.gov.ge) შემოსულია 47 კორესპოდენცია. დანარჩენი 3786 კორესპოდენცია წარმოადგენს ფოსტით, ელექტრონული ფოსტით და მატერიალური ფორმით შემოსულ დოკუმენტებს.

- ვადაგადაცილებით შესრულებული დოკუმენტების რაოდენობა 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 380 დოკუმენტს, მათ შორის დამუშავების პროცესში ვადაგადაცილებული კორესპოდენციის რაოდენობაა 60, რაც გასულ წლის ვადაგადაცილებული დოკუმენტების 40 პროცენტია
- საქმისწარმოების განყოფილების მიერ დამუშავდა და ადრესატებთან გაიგზავნა 6797 წერილი, მათ შორის ელექტრონული წერილია 1892; პირადი უზრუნველყოფით/ხელზე გაცემით ადრესატებს მიეწოდა 3175 წერილი.
- სოციალური პროგრამების ფარგლებში, საქმისწარმოების სისტემის mms-ის საშუალებით 2024 წელს მიღებულია 2560 მომართვა, მათ შორის დასრულებულია 2444 დოკუმენტი, რომელთაგან 2212 მომართვა დასრულებულია დადებითად.
- 2024 წელს მერიაში შემოსულია 82 მომართვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც შეიცავს 377 შეკითხვას, პუნქტს - ყველა მათგანი დაკმაყოფილებულია და გაცემულია შესაბამისი პასუხი.

იურიდიული განყოფილება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულმა განყოფილებამ 2024 წლის ჭრილში დაამუშავა 249 კორესპონდენცია (შემოსული/შიდა).

გასულ წელს იურიდიულმა განყოფილებამ უზრუნველყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესების დაცვა სასამართლოში, მათ შორის:

აღიძრა ერთი სამოქალაქო სარჩელი საიჯარო თანხის დაკისრების თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, რის შემდეგაც მოპასუხე მხარემ სრულად დაფარა საიჯარო დავალიანება - 610 (ექვსას ათი) ლარის ოდენობით.

გასულ წელს, დასრულდა ორი სამოქალაქო დავის განხილვა ბაღდათის მაგისტრატ სასამართლოში. სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი საიჯარო თანხის დაკისრების თაობაზე და მოპასუხე მხარეს დააკისრა საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების - 4017 ლარის გადახდა. მოცემულ საქმეზე სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა სააღსრულებო ფურცელი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღსრულების პროცესი.

ბაღდათის მაგისტრატმა სასამართლომ, ასევე სრულად დააკმაყოფილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სარჩელი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის - 1409 (ათას ოთხას ცხრა) ლარის ანაზღაურების თაობაზე. აღნიშნულ საქმეზეც გამოთხოვილ იქნა სასამართლოდან სააღსრულებო ფურცელი და მიმდინარეობს აღსრულების პროცესი.

2024 წელს სამივე ინსტანციის დონეზე დასრულდა ერთი ადმინისტრაციული დავა დასუფთავების მოსაკრებლის თანხის დაკისრების თაობაზე. უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 27 თებერვლის განჩინებით მოპასუხე მხარეს დაეკისრა 3 958.98 ლარის გადახდა მერიის სასარგებლოდ. მოცემული საქმე აღსასრულებლად გადაეცა აღსულების ეროვნულ ბიუროს, რის შედეგადაც მხარემ სრულად დაფარა დაკისრებული დავალიანება.

2024 წელს იურიდიულმა განყოფილებამ განიხილა ორი ადმინისტრაციული საჩივარი, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2024 წლის 15 ივლისის №06.6624197001 და 2024 წლის 26 ივნისის №06.6624178001 სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

ზემოხსენებული აქტების საფუძველზე ორი იურიდიული პირი დაჯარიმდა უნებართვო მშენებლობისათვის - ერთი 1000 ლარის, ხოლო მეორე 25 000 ლარის ოდენობით. იურიდიულმა განყოფილებამ ადმინისტრაციული წარმოების მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის საფუძველზე დაადგინა, რომ ზედამხედველობის სამსახურმა აღნიშნული იურიიდიული პირები დააჯარიმა კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, შესაბამისად არ გამოიკვეთა გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი და წარმოდგენილი საჩივრები არ დაკმაყოფილდა. ამის შემდგომ ერთმა იურიდიულმა პირმა სრულად გადაიხადა ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით, ხოლო მეორე პირმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოცემულ სარჩელზე წარდგენილია შესაგებელი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულმა განყოფილებამ, ასევე მოამზადა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ქირავნობის ხელშეკრულებები საცხოვრებელი ფართის გარეშე დარჩენილი ოჯახების დასახმარებლად. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიამ 2024 წელს 38 ოჯახი უზრუნველყო საცხოვრებელი ფართით.

გასულ წელს, იურიდიულმა განყოფილებამ უზრუნველყო გარკვეული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, მათ შორის აღსანიშნავია, რომ შემუშავდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის პროექტი, რომელიც დამტკიცდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მარტის N6 დადგენილებით.

საანგარიშო პერიოდში იურიდიულმა განყოფილებამ სამართლებრივი დახმარება გაუწია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. დამტკიცდა იურიდიული პირების საშტატო ნუსხები, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ყველა იურიდიულ პირს გაუაქტიურდა მომხმარებლის ელექტრობული პორტალი, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ცვლილებები შევიდა იურიდიული პირების წესდებებსა და რეგისტრირებულ მონაცემებში.

საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების განყოფილება

ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილებაში 2024 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 30 დეკემბრამდე შემოვიდა 9491 დავალება აქედან :

- ელექტრონულად საჯარო რეესტრიდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან შემოსული, ვიზირებული და პასუხგაცემულია 2984 წერილი;

- კანცელარიაში მოქალაქეების მიერ დაწერილი და პასუხგაცემულია 2514 დოკუმენტი, ასევე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეების მიერ შეტანილი და პასუხგაცემულია 3500 ზე მეტი განცხადება (ცნობები: ქონების ფლობის, კომლის შემადგენლობის, საცხოვრებელი ადგილის, ადგილწარმოშობის, მემკვიდრეობის შესახებ)

- შევსებული და სამოქალაქო რეესტრში გადაგზავნილია 200 მდე პირის გარდაცვალების ოქმი;

- ასევე გაცემულია 250 მდე ნებართვა მიწის ნაკვეთების გაყოფა - გაერთიანების შესახებ;

2024 წელს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ბაღდათის მუნიციპალიტეტის 24 ადმ. ერთეულისთვის (სოფლისთვის) გამოყოფილი იყო 346 000 ლარი, რისთვისაც დაიგეგმა და ჩატარდა 18 სოფლის კრება, სადაც სოფლის მოსახლეობის მიერ წამოჭრილი და მხარდაჭერილი იყო 40 ზე მეტი საპროექტო წინადადება, რომელიც დაპროექტებული და შესრულებულია 100 %.

სოციალური სამსახურიდან შემოსული, განხილული და პასუხგაცემულია 2560 განცხადება.

ასევე ვმუშაობთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით შემოსულ განცხადებებზე. ასევე განვიხილავთ სტატუსის შეწყვეტას და შეჩერებას.

მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ საქმიანობაზე.

რაც შეეხება ,,მოქალაქეთა კერძო საკუთრებაზე სხვადასხვა ობიექტური გარემოების შედეგად მიყენებული ზარალის შემსწავლელი კომისიის“ მუშაობას 2024 წელს კომისიაზე განსახილველად შემოვიდა 813 განცხადება;

1. სტიქიით მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 538 განცხადება, აქედან 366 ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ შედგენილი დეფექტური აქტის საფუძველზე, გადაიგზავნა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რომელიც დაკმაყოფილდა და გადაეცათ სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის მასალები, 25 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს. 13 მოქალაქის განცხადება დაკმაყოფილდა, დახმარების მიზნით გადაეცათ თანხა 13 000 (ცამეტიათასი) ლარი.
2. საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის შესახებ შემოვიდა 67 განცხადება, 7 მოქალაქის განცხადება დაკმაყოფილდა, დახმარების მიზნით გადაეცათ თანხა 4600 (ოთხიათას ექვსასი) ლარი. 21 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს. სამი ოჯახისთვის შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა საცხოვრებული ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის შეთავაზება.
3. საცხოვრებელი ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 59 განცხადება, 41 განცხადება დაკმაყოფილდა, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს 32 ბენეფიციარს საცხოვრებელი ბინის ქირით. დაზიანებული სახლების გამო, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე 10 ოჯახის მიმართ მოხდა, საცხოვრებელი ბინის (დროებითი თავშესაფარი) ქირით უზრუნველყოფის შეთავაზება. ქირით გასვლაზე 8 ოჯახმა განაცხადა უარი.
4. საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 82 განცხადება, 13 მოქალაქე დაკმაყოფილდა, დახმარების მიზნით გადაეცათ - 15 700 (თხუთმეტიათას შვიდასი) ლარი. 3 მოქალაქე დაკმაყოფილდა მერიის ბალანსზე არსებული ხის მასალით. 11 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.
5. ხანძრით მიყენებული ზარალის შესახებ შემოვიდა 5 განცხადება. ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით გაიცა თანხა 7500 (შვიდიათასხუთასი) ლარის ოდენობით.
6. სამშენებლო მასალით უზრუნველყოფის შესახებ შემოსულია 55 განცხადება. 10 მოქალაქის განცხადება დაკმაყოფილდა, დახმარების მიზნით გაიცა თანხა 22 800 (ოცდაორიათას რვაასი) ლარის ოდენობთ. 3 მოქალაქე დაკმაყოფილდა მერიის ბალანსზე არსებული ხის მასალით. 4 განცხადება შემდგომი შესწავლის მიზნით გადაეგზავნა ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურს.

7. საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ შემოვიდა 5 განცხადება, რომელიც შესაბამისი რესურსის არქონის გამო ვერ დაკმაყოფილდა.
8. სასმელი წყლის მილების დაზიანების გამო შემოვიდა ერთი განცხადება, დახმარების მიზნით გაიცა თანხა 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.
9. ხე - მასალის მოპოვების შესახებ შემოვიდა ერთი განცხადება, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაიგზავნა იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში.

ადამიანური რესურსების მართვა

2024 წელს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ hr.gov.ge გვერდის მეშვეობით, პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამოცხადდა 8 კონკურსი, მათ შორის 3 ღია და 5 შიდა კონკურსი. აღნიშნული კონკურსები მომზადებული და ჩატარებული იქნა ხარვეზის გარეშე და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. საყოველთაობისათვის ყველა კონკურსის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია აგრეთვე განთავსებული იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

ახალი საკანონმდებლო რეგულაციის შესაბამისად, 2024 წლის დასაწყისში , სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებთან კომუნიკაციის შედეგად, საჭიროების დასაბუთების საფუძველზე, სამართლებრივი აქტით განისაზღვრა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორთა რიცხოვნობა და ანაზღაურება, რის შემდგომაც 4 პოზიციაზე გამოცხადდა სტაჟირება, სააპლიკაციო განაცხადების გადარჩევისა და შეფასების შედეგად სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სასახურში სტაჟიორად დაინიშნა ერთი პირი, რომელსაც განესაზღვრა ხელმძღვანელი და სასწავლო პროგრამა.

2024 წელს აგრეთვე, სტუდენტური პრაქტიკის ფარგლებში მერიას ეკონომიკის სამსახურში, ტურიზმის მიმართულებით აყვანილი გვყავდა ერთი პრაქტიკანტი და ადმინისტრაციულ სამსახურში ერთი პრაქტიკანტი.

პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, 2024 წლის სასწავლო პროგრამის შემუშავება განხორციელდა ორგანიზაციულ საპილოტე რეჟიმში, ელექტრონული ფორმატის-გამოკითხვის საფუძველზე, მოხელეთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ანალიზით, რაც გულისხმობდა სასწავლო თემების იდენტიფიცირებას და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით პროფესიული განვითარების/სწავლების დაგეგმვას.

2024 წლის პრიორიტეტულ სფეროებად დასახელდა ინფრასტრუქტურა და ეკონომიკა, შესაბამისად, მოხელეთა გადამზადებაც ამ მიმართულებით იყო დაგეგმილი. სწავლება განხორციელდა ჰიბრიდულ რეჟიმში (დისტანციური და საკლასო ტრენინგები).

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა 2024 წლის სასწავლო გეგმით გაწერილი პროგრამები სრულად იქნა ათვისებული, ჩვენ მიერ დადგენილი პროგრამისა და აგრეთვე, სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო დონორების მიერ შემოთავაზებული ტრენინგების ფარგლებში ჯამში გადამზადდა 38 მოხელე, მოხელეთა სწავლებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან გაიხარჯა 11 122 ლარი.

პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება-2024 წელს, საბოლოო შეფასებას დაექვემდებარა 79 მოხელე, აქედან 6 გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირი. პროფესიულ საჯარო მოხელეების შეფასების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: საუკეთესო შეფასება დაიმსახურა 53-მა, შეფასება „კარგი“ - 26-მა მოხელემ, მოხელის კლასი მიენიჭა 34 მოხელეს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მუნიციპალიტეტში მიმდინარე სიახლეები მთელი წლის მანძილზე თანმიმდევრულად იტვირთებოდა, როგორც ოფიციალურ Facebook-გვერდზე „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია“ და ვებგვერდზე www baghdati.gov.ge.

აღნიშნული ვებგვერდი განახლებულია და დატვირთულია სრული სერვისით. მოქალაქეებს საშუალება აქვთ გამოაგზავნონ პეტიცია და მუნიციპალიტეტს გაუზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებები უკუკავშირის პლათფორმის საშუალებით.

ვებგვერდზე ინფორმაცია განახლებადია, რაც დადებითად აისახება თვითმმართველობის ინდექსისი ხარისხზე.

გასულ წელს მუნიციპალიტეტს საინფორმაციო მომსახურება გაუწია საგენტო „ipress.ge” “act2”ge, ასევ მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეები და ღონისძიებები გააშუქა ცეტრალურმა ტელევიზიებმა.

აღნიშნულ საინფორმაციო სააგენტოებთან და ტელევიზიებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგან მათი საშუალებით საზოგადოება ეცნობა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ პროექტებს.

მუნიციპალიტეტის ოფიციალურ Facebook- ზე ყოველდღიურად შემოდის მოქალაქეების შეტყობინებები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც პასუხების გაცემა დროულად ხდება.

მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართუულებით ყოველდღიურად გვაქვს კომუნიკაცია, როგორც სამხარეო ადმინისტრაციასთან, ასევე მთავრობის ადმინისტრაციასთან, სამინისტროებთან და მედიასთან.

პიარის სპეციალისტი აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის ყველა სახის ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე დავსძენ, რომ გაწეული სამუშაო საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა საკმარისი არ არის, რადგან მომავალში კიდევ უფრო ბევრ გამოწვევასთან და მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილებასთან მოგვიწევს გამკლავება ჩვენი გუნდის მეშვეობით.

გმადლობთ ყურადღებისათვის!!!